

გამოცემის თარიღი: 11 ივნისი, 2015  
განახლების თარიღი: 23 სექტემბერი, 2019  
ვერსია No. 2.2 \*

## უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

SDS No.501-130 (M04-27)  
NEU-75021-0

### პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

#### 1.1. პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის დასახელება: **აპლაუდი 25 სკ, Applaud SC, Applaud Star, Hayabusa SC.\***

#### 1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდირებული შეზღუდვები მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინსექტიციდი.

#### 1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი

„ნიჩინო ეუროპ კო, ლტდ.“ (Nichino Europe Co., Ltd.)

5 პიონერ ქორთ, ვიჟენ პარკი, ჰისტონი, კემბრიჯი CB24 9PT, დიდი ბრიტანეთი  
Pioneer Court, Vision Park, Histon, Cambridge CB24 9PT, UK  
ტელეფონი: 44-1223-855720 ფაქსიმილე: 44-1223-233119

#### საერთაშორისო კონტაქტი

„ნიჰონ ნოჰიაკუ კო, ლტდ.“ (Nihon Nohyaku Co., Ltd.)

19-8, კიობაში 1- ქომე, ჩუო-კუ, ტოკიო 104-838, იაპონია  
19-8, Kyobashi 1-Chome, Chuo-Ku, Tokyo 104-838, JAPAN

(გარემოს დაცვის დეპარტამენტი/ ტელეფონი: 81-3-6361-1426

ფაქსიმილე: 81-3-6361-1451 ელ-ფოსტა: [kankyuanzen@nichino.co.jp](mailto:kankyuanzen@nichino.co.jp))

#### 1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

##### „Carechem 24“ საერთაშორისო გადაუდებელი დახმარების ნომერი:\*

ევროპის, შუა აღმოსავლეთისა და აფრიკისათვის

ტელეფონი: **+44 1273 289 451** (ენები: ინგლისური, ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური)

დამატებითი ნომრებისა და ადგილობრივი ნომრების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-16 თავში.

უცხოეთის განყოფილება, „ნიჰონ ნოჰიაკუ კო, ლტდ.“

19-8, კიობაში 1- ქომე, ჩუო-კუ, ტოკიო 104-838, იაპონია

ტელეფონი: 81 -3-6361-142 0 ფაქსიმილე: 81 -3-6361 -1456

„ნიჩინო ეუროპ კო, ლტდ.“ (Nichino Europe Co., Ltd.)

5 პიონერ ქორთ, ვიჟენ პარკი, ჰისტონი, კემბრიჯი CB24 9PT, დიდი ბრიტანეთი

ტელეფონი: 44-1223-855720 ფაქსიმილე: 44-1223-233119

(მხოლოდ სამუშაო საათებში)

### პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია

#### 2.1. ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 [CLP] რეგულაციის შესაბამისად:

წყლის ორგანიზმებისთვის ქრონიკული 2; H411

დამატებითი ინფორმაცია: საშიშროებისა და ევროკავშირის საშიშროების შესახებ განცხადებების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

**2.2 ეტიკეტის ელემენტები**

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 [CLP] რეგულაციის შესაბამისად:

საშიშროების აღმნიშვნელი პიკტოგრამა:



სასიგნალო სიტყვა:  
 სიგნალის სიტყვა არ გამოიყენება.

საშიშროების შესახებ განცხადება:  
 H411 ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის ხანგრძლივი ეფექტებით.

გამაფრთხილებელი განცხადება (პრევენცია):  
 P273 პროდუქტი არ უნდა მოხვდეს გარემოში.

გამაფრთხილებელი განცხადება (რეაგირება):  
 P391 შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.

გამაფრთხილებელი განცხადება: (დასაწყობება):

გამაფრთხილებელი განცხადება: (უტილიზაცია):  
 შიგთავსის/ტარის უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია საშიშროების შესახებ (EU):  
 EUH208: შეიცავს 1,2-ბენზიზოთიაზოლინ-3-ონს. შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.

EUH401: ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოში რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

**2.3. სხვა რისკები**

მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი

**პარაგრაფი 3: შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ**

**3.1. ნივთიერებები**

არ ექვემდებარება შევსებას. ეს პროდუქტი რეგულირდება როგორც ნარევი.

**3.2. ნარევი**

მოქმედი ნივთიერება (Z)-2-ტრეტ-ბუტილიმინო-3-იზოპროპილ-5-ფენილ-1,3,5-თიადიაზინ-4-ონი  
 (სახელწოდება: ბუპროფეზინი)  
 250.4 გ/ლ

საშიში ინგრედიენტები:

ქიმიური სახელწოდება	CAS No.	CLP ინდექსის No.	კონცენტრაცია (% w/w)	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) No. 1272/2008 [CLP] შესაბამისად
ბუპროფეზინი	953030-84-7	-	23.4	წყლისათვის მწვავე 1; H400, M კოეფიციენტი = 1, წყლისათვის ქრონიკული 1; H410, M კოეფიციენტი = 1

სულფირებული არომატული პოლიმერი, ნატრიუმის მარილი	68425-94-5*	–	>1 -<5	კანის გაღ. 2; H315, თვალის გაღ. 2; H319
1,2-ბენზიზოთიაზოლინ-3-ონი	2634-33-5	613-088-00-6	<0.03	მწვავე ტოქ. 4; H302, კანის გაღ. 2; H315, თვალის დაზ. 1; H318, კანის სენს. 1; H317, წყლისათვის მწვავე 1; H400

CLP ინდექსის No.: ინდექსის No. რეგულაციის (EC) No. 1272/2008 დანართი VI მე-3 ნაწილში  
საშიშროებისა და ევროკავშირის საშიშროების აღმნიშვნელი ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

#### პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები

##### 4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- თვალში მოხვედრისას: გამოირეცხეთ თვალები დიდი რაოდენობის წყლით 15 წუთის განმავლობაში. თუ გაღიზიანება გრძელდება მიიღეთ სამედიცინო დახმარება.
- კანზე მოხვედრისას: გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის სუფთა წყლითა და საპნით. გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე.
- ჩაყლაპვისას: ჩაყლაპვისას, გამოურეცხეთ პირი და დააღევიანეთ ერთი ან ორი ჭიქა წყალი. ამყოფეთ მოსვენებულ მდგომარეობაში და მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. არ გამოიწვიოთ ღებინება.
- ჩასუნთქვისას: დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. გვერდითი ეფექტების გამოვლენისას მიმართეთ ექიმს.

##### 4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და ეფექტები

ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობილი სიმპტომები და ეფექტები აღწერილია მე-2 და მე-11 პარაგრაფებში.

##### 4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება

აჩვენეთ ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მკურნალ ექიმს.

#### პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

##### 5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

- ხანძრის ჩაქრობის შესაფერისი საშუალებები: გაფრქვეული წყლის ნაკადი, ქაფი, მშრალი ქიმიური ფხვნილი, ნახშირორჟანგი.
- ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები: მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

##### 5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

- საშიში წვის პროდუქტები: წვის ან თერმული დაშლის შედეგად შეიძლება გამოიყოს ტოქსიკური აირები (CO, CO<sub>2</sub>, NOx და ა.შ).

##### 5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

- სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისათვის: მეხანძრეებმა უნდა გამოიყენონ სათანადო დამცავი საშუალებები.
- დამატებითი ინფორმაცია: არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული საშუალებების, როგორცაა წყლი, ქაფი და მშრალი ქიმიურ ფხვნილი, ტბორებში, მდინარეებსა და ტბებში მოხვედრა.

---

## პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

### 6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

პირადი უსაფრთხოების ზომები: მოახდინეთ ზედმეტი პერსონალის ევაკუაცია. გამოიყენეთ შესაფერისი დამცავი სპეცტანსაცმელი, ხელთათმანები და თვალბინები/სახის დამცავი საშუალებები.

### 6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები: არ დაუშვათ დაღვრილი პროდუქტის კანალიზაციის სისტემებში, მდინარეებში, არხებში ან დაბლობ ადგილებში მოხვედრა. ნარეხები წყლები არ უნდა ჩაიღვაროს წყალსადინარებში ან არხებში.

### 6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

დასუფთავების მეთოდები: დაღვრილი პრეპარატის შეწოვა მოახდინეთ ქვიშით, მიწით ან სათანადო მშთანთქმელი საშუალებით. გადაიტანეთ უტილიზაციისათვის განკუთვნილ კონტეინერში. გაჟონვის/დაღვრის ადგილი მორეცხეთ წყლით.

### 6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ექსპოზიციის კონტროლის/ პირადი დაცვისა და განკარგვა/უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-8 და მე-13 პარაგრაფებში.

---

## პარაგრაფი 7. გამოყენება და შენახვისა პირობები

### 7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები

გამოიყენეთ სათანადო განიავების პირობებში. მოერიდეთ კანზე და თვალბინებში მოხვედრას. არ შეისუნთქოთ მხეფები ან ორთქლი. პრეპარატის გამოყენების შემდეგ სახე და ხელები გულდასმით დაიბანეთ წყლითა და საპნით. არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ თამბაქო პრეპარატის გამოყენების დროს.

### 7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

ხანძარსა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები  
არ არის ცნობილი.

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები  
მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ მშრალ, გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურულ ქარხნულ შეფუთვაში.

რჩევები შერეულ დასაწყობებაზე

შეინახეთ კვები პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისგან მოშორებით და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ ჩაკეტილ სათავსში.

### 7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

სპეციფიკური საბოლოო გამოყენების შესახებ ინფორმაცია მოცემულია პირველ პარაგრაფში.

---

## პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

### 8.1. კონტროლის პარამეტრები

ექსპოზიციის ზღვრული მაჩვენებელი: ბუპროფეზინი: 2 მგ/მ<sup>3</sup> (იაპონიის შრომის ჰიგიენის საზოგადოება)

## 8.2. ექსპოზიციის კონტროლი

საინჟინრო კონტროლი:	თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის ან სათანადო სავენტილაციო სისტემების პირობებში. სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხოების სამსახურე და თვალის ამოსარეცხი.
ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	
სასუნთქი ორგანოების დაცვა:	არ შეისუნთქოთ შხეფები ან ორთქლი. ჰაერში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბებისას, გამოიყენეთ აპრობირებული სასუნთქი ორგანოების დაცვის საშუალებები.
თვალის დაცვა:	გაიკეთეთ ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი სათვალე.
კანის დაცვა:	კანზე მოხვედრის ასაცილებლად, ჩაიცვით შესაფერისი დამცავი სპეცტანსაცმელი და ხელთათმანები. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ დაბინძურებული კანი.

---

## პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

### 9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

გარეგანი სახე:	მოყვითალო-თეთრი სუსპენზია
სუნი:	არ აქვს დამახასიათებელი სუნი
სუნის შერბნების ზღვარი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
pH:	7.52 (1%-იანი წყლიანი დისპერსია)
ლღობის ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
დუღილის საწყისი ტემპერატურა და დუღილის დიაპაზონი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალების ტემპერატურა:	აალების ტემპერატურა არ არის
აალებადობა (მყარი, გაზი):	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
აალებადობის ან აფეთქების ზედა/ქვედა ზღვარი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის წნევა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ორთქლის სიმკვრივე:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
ფარდობითი სიმკვრივე:	1.06–1.08 გ/მლ (მოცულობითი სიმკვრივე 20°C-ზე)
ხსნადობა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი/ წყალი:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
თვითაალების ტემპერატურა:	495°C
დაშლის ტემპერატურა:	მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი
სიბლანტე:	21 –38 მპა.წმ 20°C-ზე
ფეთქებადი თვისებები:	მასალა არ წარმოქმნის აფეთქების საფრთხეს
ჟანგვითი თვისებები	დამუხანგავი თვისებები არ არის

### 9.2. დამატებითი ინფორმაცია

არ გამოიყენება.

---

## პარაგრაფი 10. მდგრადობა და რეაქტიულობა

### 10.1. რეაქტიულობა

დანაშნულების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების პირობებში საშიში რეაქციები არ არის.

### 10.2. ქიმიური მდგრადობა

ეს პროდუქტი სტაბილურია 2 წლის განმავლობაში, როდესაც ინახება გაუხსნელ ქარხნულ ტარაში ნორმალურ სასაწყობე პირობებში.

**10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა**

დანიშნულების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების პირობებში საშიში რეაქციები არ არის.

**10.4. ასარიდებელი გარემოებები**

გადაჭარბებული სითბო.

**10.5. შეუთავსებელი მასალები**

არ არის ცნობილი.

**10.6. საშიში დაშლის პროდუქტები**

დანიშნულების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების პირობებში საშიში დაშლის პროდუქტები არ წარმოიქმნება.

იხილეთ აგრეთვე პარაგრაფი 5.2.

---

**პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია**

**11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ**

მწვავე ტოქსიკურობა

პერორალური:	ვირთაგვა LD <sub>50</sub> (მგ/კგ)	მამრი, მდედრი >2000
დერმალური:	ვირთაგვა LD <sub>50</sub> (მგ/კგ)	მამრი, მდედრი >2000
ინჰალაციური:	დამუშავებისა და გამოყენების ნორმალურ პირობებში ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს სახიფათო ეფექტები.	

კანის კოროზია/გალიზიანება:  
ბოცვერი არ იწვევს გალიზიანებას.

თვალის დაზიანება/გალიზიანება:  
ბოცვერი იწვევს მსუბუქ გალიზიანებას.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია:

რესპირატორული სენსიბილიზაცია:	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
კანის სენსიბილიზაცია: ზღვის გოჭი	უარყოფითი

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა: მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

კანცეროგენული მოქმედება: მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა: მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა (ერთჯერადი ექსპოზიცია):  
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა (განმეორებითი ექსპოზიცია):  
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ასპირაციის საშიშროება მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

## 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

### 12.1. ტოქსიკურობა

აღნიშნულ პრეპარატზე მონაცემები:

ცისარტყელა კალმახი	LC <sub>50</sub> (96სთ)	>630 მგ/ლ (OECD 203 სახელმძღვანელო პრინციპებით)
<i>Daphnia magna</i>	EC50(48სთ)	>1000 მგ/ლ
(წყლის რწყილი)		
წყალმცენარეები	ErC <sub>50</sub> (72სთ)	>290 მგ/ლ (OECD 201 სახელმძღვანელო პრინციპებით)

### 12.2 სტაბილურობა და დეგრადაცია

აღნიშნული პრეპარატისათვის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

მონაცემები ტექნიკურ ბუპროფეზინისათვის:

ჰიდროლოზი:	ნახევარდაშლის პერიოდი 51 დღე/pH5, 378 დღე/pH7
ფოტოლიზი:	ნახევარდაშლის პერიოდი 33 დღე დისტილირებულ წყალში (16 ~31°C, ბუნებრივ მზის შუქზე)

### 12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

აღნიშნული პრეპარატისათვის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

მონაცემები ტექნიკურ ბუპროფეზინისათვის:

ბიოკონცენტრაციის ფაქტორი: BCFk = 464 (OECD 305 სახელმძღვანელო პრინციპებით)

### 12.4. მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

### 12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

### 12.6. სხვა არასასურველი/მაგნე ეფექტები

არასასურველი/მაგნე ეფექტები არ არის მოსალოდნელი.

---

## პარაგრაფი 13. განკარგვა /უტილიზაცია

### 13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები

პროდუქტი:

პროდუქტის უტილიზაცია უნდა მოხდეს ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქციების და/ან ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. არ ჩაყაროთ კანალიზაციის სისტემებში და წყალსატევებში, არ დაყაროთ მიწაზე. არ დაუშვათ ბუპროფეზინის შემცველი სითხის მდინარეებში, ტბორებში ან ტბებში მოხვედრა.

დაბინძურებული ტარა:

გამოყენებული პრეპარატის ტარა გაანადგურეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

---

## პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

სახმელეთო გადაზიდვა (ADR)

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082

14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს ბუპროფეზინს)

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9

14.4. შეფუთვის ჯგუფი: III

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:

საზღვაო გადაზიდვა (IMDG)

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082

14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს ბუპროფენინს)

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9

14.4. შეფუთვის ჯგუფი: III

14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ზღვის დამაბინძურებელი

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:

საზღვაო გადაზიდვა MARPOL 73/78\*

14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად:

საჰაერო გადაზიდვა (ICAO/IATA)

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082

14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს ბუპროფენინს)

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9

14.4. შეფუთვის ჯგუფი: III

14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: არის

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის:

---

**პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია**

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

15.2. ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ქიმიური უსაფრთხოების შეფასება (EC) No 1907/2006 რეგულაციის მე-14 მუხლის შესაბამისად არ არის საჭირო, რადგან მოქმედებს იგივე რეგულაციის მე-15 მუხლი.

---

**პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია**

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომზადებულია ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად.

ცვლილებების მითითება:

\* შესწორებული მონაცემები ან ინფორმაცია

მე-2 და მე-3 პარაგრაფში მითითებული H-კოდ(ებ)ის ტექსტი (მხოლოდ ინფორმაციისთვის):

H302:	მავნეა ჩაყლაპვისას.
H315:	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H317:	შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H318:	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H319:	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
H400:	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410:	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.
H411:	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.
EUH401:	ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.



**Carechem 24 საერთაშორისო გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომრები: \***

საფრანგეთი (ენა: ინგლისური, ფრანგული): + 33 1 72 11 00 03

გერმანია (ენა: ინგლისური, გერმანული): + 49 89220610 12 ან უფასოდ +49 (0) 800000 7801

ესპანეთი (ენა: ინგლისური, ესპანური): + 34 91114 2520

იტალია (ენა: ინგლისური, იტალიური): + 39 02 3604 2884

ნიდერლანდები (ენა: ინგლისური, ჰოლანდიური): + 31 10713 8195

შუა აღმოსავლეთი (ენა: ინგლისური, არაბული): + 44 1273 289 454

EMEA (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა) რეგიონი (მხოლოდ ინგლისური): + 44 1865 407333

---

ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის (MSDS) ეს ვერსია ეყრდნობა NNC-MSDS- ს:  
აპლაუდი 25სკ (V15) (EU-GHS) 17.5.29

---

ამ დოკუმენტში ინფორმაცია მოცემულია კეთილსინდისიერად, მაგრამ არა გარანტიით. ინფორმაცია განკუთვნილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ზოგადი მითითებების მოსაწოდებლად, რომელიც ეყრდნობა პროდუქტის დამუშავების, შენახვისა და გამოყენების შესახებ ჩვენს ცოდნას. იგი არ გამოიყენება პრეპარატის უჩვეულო ან არასტანდარტული მოხმარების დროს, და არც მაშინ, როდესაც მითითებები ან რეკომენდაციები არ არის დაცული.

---